
თავზეხელაღებული პრეზიდენტი და გაბედული ეკონომიკური რეფორმები

ამერიკის 44-ე პრეზიდენტი და მისი ეკონომიკური პოლიტიკა

სიდარიბის დაძლევის საუკეთესო გზა – განათლებაა
ბარაქ ობამა



თამაზ აქუბარდია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ალბათ, უკვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რუსეთის თითქმის 200 წლიანი ბატონობა ამერიკულმა ორბიტამ შეცვალა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამას ვერ ეგუება (რაც მან კონკრეტული ქმედებებით გამოხატა და ტერიტორიის თითქმის მეხუთედის ოკუპაცია მოახდინა), ეს კიდევ უფრო ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდან, ისევე, როგორც მთელი რიგი პოსტკომუნისტური ქვეყნები, ნელა, ძალიან მტკივნეულად, მაგრამ მაინც გამოვიდა, უფრო სწორად, თითქმის გამოვიდა.

ამერიკულ ორბიტაზე გადასვლა ქვეყნის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი მისი უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის, არც თუ ისე იოლი გამოდგა. აქ მნიშვნელობა არა აქვს მიზეზების ძებნას. ფაქტია, რომ ბევრი დასავლური ფასეულობები, განსაკუთრებით მისი ზნეობრივი ასპექტები, ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ გვინდა შევეგუოთ, ყოველ შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში. ამ ყველაფრის ფონზე ჩვენთვის, (ისევე, როგორც ალბათ მთელი მსოფლიოსთვის), ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება თავად ამერიკაში. ამერიკაში კი ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ძალზე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა. თუმცა, ამაზე ჯერ-ჯერობით ანალიტიკოსები ძალზე თავშეკავებულად საუბრობენ.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ჩემი მაინც მინდა ვისაუბრო (და არა მხოლოდ ვისაუბრო, არამედ გავაანალიზო), ამერიკაში მიმდინარე პროცესებზე და, ჩემი, ძალზე მოკრძალებული შესაძლებლობის ფარგლებში, ამ ანალიზის შედეგად, გარკვეული დასკვნებიც გავაკეთო.

მკითხველს, ცხადია გაუჩნდება უნებლიე კითხვა: რატომ ვიღებ ჩემს თავზე ამ პასუხისმგებლობას, მაშინ, როცა მსოფლიოში ცნობილი ანალიტიკოსები შეფასებებში საკმაო სიფრთხილეს იჩენენ.

ჯერ ერთი, ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ ჩემი შეფასებები დარჩება **„ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“,** ამდენად, არა მგონია ჩემი შეგონებები ვინმემ ყურად იღოს. **მეორეც,** ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს და სულაც არ გვადარდებს რას იტყვიან, ან როგორ შეაფასებენ ამას სხვაგან. ჩვენთვის უმთავრესია ჩვენი საზოგადოება, გნებავთ მისი პოლიტიკურ ნიუანსებში გარკვეული ნაწილი, როგორ შეხვდება და როგორ შეაფასებს ამ დასკვნებს.

დავიწყოთ იქიდან, რომ უკანასკნელ პერიოდში ამერიკაში მიმდინარე პროცესები, თავისი მასშტაბებით, (ასევე, აქედან მიღებული შედეგებით), დიდი დეპრესიის პერიოდს თუ შეედრება, რომელიც, ცხადია გასცდა საკუთრივ ამერიკის გეოგრაფიულ საზღვრებს და მსოფლიო მასშტაბის მოვლენის სახე მიიღო.

ამდენად, ამერიკის 44-ე პრეზიდენტს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო წილად. სწორედ ამიტომ, რამდენადაც დიდი დეპრესიის შემდგომ ამერიკის ლეგენდარულ პრეზიდენტს, **ფრანკლინ რუზველტს** კარდინალური ზომების გატარება მოუწია, რათა ამერიკა კრიზისიდან გამოეყვანა და ზესახელმწიფოდ ექცია. დაახლოებით ანალოგიური პრობლემების გადაჭრა მოუწევს ამერიკის დღევანდელ პრეზიდენტს.

მიუხედავად იმისა, რომ **ჯონ მეინარდ კეინსი** ცოცხალი აღარ არის, რათა მისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანი რჩევები მიეცა (როგორიც თავის დროზე რუზველტს მისცა), ეტყობა დღევანდელ პრეზიდენტს არც თუ ისე ცუდი მრჩევლები ჰყავს, რადგანაც ის ცვლილებები, რაც მან დაისახა და გააჟღერა, ნამდვილად რევოლუციურია. სხვა საკითხია, რა პოლიტიკური შედეგები შეიძლება ამას მოყვეს, როგორც თავად რეფორმატორთა გუნდისთვის, ასევე, ამ რეფორმების განხორციელების შემთხვევაში, ამერიკისა და მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის.

დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ საფინანსო კრიზისის გამომწვევი მიზეზი საბანკო სფეროს უპასუხისმგებლო ქმედებების შედეგად იყო პროვოცირებული. (კრიზისის ამ ნაწილს მე სპეციალური გამოკვლევა მივუძღვენი და ყალბი თავმდაბლობის გარეშე მინდა განვაცხადო, რომ საკმაოდ არგუმენტირებუ-

ლად და რაც ძალზე არსებითია, სრულიად განსხვავებული და ორიგინალური მსჯელობებით, დავასაბუთეთ კრიზისების პერიოდულობა და მისი გამომწვევი მიზეზები).

საბანკო სფეროს უპასუხისმგებლობა, თავის მხრივ სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალისტური სისტემის ძირითადი მიზნის რეალიზაციის პროცესი – **მოგების მიღება ყველანაირი ხერხებითა და საშუალებებით**.

რა გვიჩვენა ამ უზარმაზარმა კრიზისმა და, პირველ რიგში რა დასკვნები გააკეთეს აქედან თავად ამერიკელებმა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ მინდა დავაფიქსირო ჩემი უდიდესი პატივისცემა ამერიკის 44-ე პრეზიდენტისადმი, რომლის მიერ დაწყებულ რეფორმებს პრეცენდენტი არ მოეპოვება ამერიკის უახლეს ისტორიაში, უფრო მეტიც, – ე.წ. **„დიდი დეპრესიის შემდეგ“**.

მოგეხსენებათ, პოლიტიკური კონიუნქტურა ხელისუფალთაგან ძალიან ხშირად ისეთ ქმედებებს მოითხოვს, რომელიც არაფრით არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ამა ქვეყნის უმდიდრეს ადამიანთა ინტერესებთან. მითუმეტეს, როდესაც საქმე უზარმაზარ, უფრო მეტიც, კოლოსალურ თანხებს ეხება. ამისდა მიუხედავად, რამდენადაც პრეზიდენტმა ხელისუფლების სათავეები ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში ჩაიბარა, იგი იძულებულიც იყო (და ვალდებულიც,) გაეტარებინა ძირეული რეფორმები, რათა ქვეყანა გამოეყვანა ამ უმძიმესი კრიზისიდან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ და ყველაზე არაპოპულარული ღონისძიება, რომელიც პრეზიდენტის გუნდმა განახორციელა, ეს გახლდათ კოლოსალური თანხების გამოყოფა იმათი გადარჩენისთვის, ვისი არა თუ უპასუხისმგებლო, არამედ, დანაშაულებრივი ქმედებების გამო მოხდა კრიზისის პროვოცირება. ამ მიზნით გამოიყო 787 მლრდ დოლარი. ამგვარი ღონისძიებების შედეგად, გარდა იმისა, რომ საბანკო სექტორი გაკოტრებას გადაურჩა, 2 მილიონმა ამერიკელმაც სამუშაო შეინარჩუნა.

მაგრამ პრეზიდენტმა სრულიად სამართლიანი რისხვა დაატეხა საბანკო სექტორს. კერძოდ, თავის პირველ ოფიციალურ ყოველწლიურ გამოსვლაში **„ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“**, რომელიც მიმდინარე წლის 27 იანვარს შედგა, მან განაცხადა, **რომ ამ საყოველთაო კრიზისის ფონზე ბანკებს ჰყოფნით თავხედობა თავიანთთვის ისეთივე სიდიდის ბონუსები და პრემიები დაირიგონ, როგორსაც კრიზისამდე ირიგებდნენ, ანუ მათთვის თითქოს არაფერიც არ მომხდარა და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ეს ბონუსები და პრემიები სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დახმარებებიდან მიითვისეს**. (ანუ იმ ფულიდან, რომელიც თითოეული გადასახადის გადამხდელი ამერიკელის ჯიბიდან იქნა ამოღებული). ასეთი თავხედური ქმედებების პასუხად პრეზიდენტის ბრძანებით მსხვილ ბანკებზე გამოყოფილი თანხიდან 30 მლრდ დოლარი გადამისამართდა წვრილ ბანკებზე, რომელთა მეშვეობითაც გამოიყოფა კრედიტები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად.

როგორც პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში განაცხადა, **სიტუაციის მთელი პარადოქსულობის მიუხედავად, ამერიკა იძულებულია დაეხმაროს მსხვილ ბანკებს (ანუ ბანკებს, რომელთა მიზეზითაც დაიწყო მსოფლიო საფინანსო კრიზისი), რათა ქვეყანა უფრო მომაკვდინებელ – ეკონომიკურ კრიზისში არ გადასულიყო**. პრეზიდენტის განცხადებით, მან აქედან მართალია მწარე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიიღო და სრულიად გარკვეული დასკვნებიც გააკეთა. **ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲐᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐᲗ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ, ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲝᲢᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲘᲓ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲡᲐᲠᲘᲡᲙᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲜᲗ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲛᲔᲝᲠᲔᲪ, ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲡ ᲐᲔᲙᲠᲫᲐᲚᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ „ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲜ“ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲠᲘᲡᲙᲘᲐᲜᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲡ ᲒᲐᲜᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲙᲘᲔᲠ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ ᲒᲐᲣᲡᲕᲐ ᲮᲐᲖᲘ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲖᲔ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲐ.

მოგებისკენ სწრაფვის ყველანაირი ხერხებისა და საშუალებების გამოყენებამ, ჩემის აზრით, ამ პროცესებისადმი სახელმწიფოს ყურადღების მოდუნებამ გამოიწვია ის, რომ უმუშევრობის დონემ ამერიკაში 10 პროცენტს მიაღწია, რაც აბსოლუტურ მაჩვენებლებში (თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის მატების ტემპებს), დიდი დეპრესიის პერიოდის უმუშევრობას თუ შეედრება.

პრეზიდენტმა მოითხოვა რიგი ფედერალური საბიუჯეტო პროგრამების ხარჯების გაყინვა და დაემუქრა ვეტოს დადების უფლებით ამ მხრივ ნებისმიერი საწინააღმდეგო ინიციატივის გამოვლენის შემთხვევაში. ასეთი პროგრამების გაყინვით 20 მლრდ დოლარის ეკონომიას ელიან.

ძალზე საყურადღებოა, რომ ქვეყნის უახლოეს გეგმებში შედის ექსპორტის მოცულობის გაორმაგება უახლოესი 5 წლის განმავლობაში, რაც დამატებით სამუშაო ადგილების გაზრდას ითვალისწინებს დაახლოებით 2 მილიონის ფარგლებში.

თავისი მნიშვნელობით რიგით მეორე რეფორმა, რომელიც პრეზიდენტმა წამოიწყო, გახლავთ ჯანდაცვის რეფორმა. თითოეული ჩვენთაგანი იმდენად მიჩვეულია იმ აზრს, რომ ამერიკელები ყველაფერში მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებენ, ძნელია იმის დაჯერება, რომ მათ ასეთი სერიოზული ხარვეზები ჰქონიათ ჯანდაცვის სფეროში, – ქვეყანაში, რომელიც საყოველთაოდ დამკვიდრებული შეხედულებით დემოკრატიის ციტადელს წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, დაახლოებით 50 მილიონამდე ამერიკელი მოკლებულია სამედიცინო დაზღვევის სისტემით სარგებლობის უფლებას. ეს იმდენად წარმოუდგენლად გვეჩვენება ჩვენ, ღარიბ-ღატაკი ქვეყნის შვილებს, რომ ყველა წინამორბედი პრეზი-

დენტების ქვეყნისადმი უანგარო სამსახურში ძალიან სერიოზული ეჭვებით განგვაწყობს.

წარმოდგენაც კი ძნელია, რომ 50 მილიონი ადამიანი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეექვსედია, მოკლებულია სამედიცინო დაზღვევის პოლისების ყიდვის უნარს, ანუ, არ გააჩნია სამედიცინო მომსახურების საშუალება. პრეზიდენტმა, შეიძლება ითქვას, ლაგამი ამოსდო სადაზღვევო კომპანიების ზღვარგადასულ თავნებობას და უზარმაზარი ძალისხმევის ფასად ამერიკის კონგრესს წარუდგინა კანონპროექტი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესახებ.

ცხადია, ასეთი ნაბიჯით პრეზიდენტმა უამრავი მოწინააღმდეგე გაიჩინა, რადგანაც იგი დაუპირისპირდა კაპიტალისტური სისტემის საფუძველთა საფუძველს, – მოგების მომტანი უზარმაზარი კომპანიების სასიცოცხლო ინტერესებს. ასეთი ნაბიჯი პოლიტიკურად იმდენად წამგებიანია მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესში, რომ შეუძლებელია ამას ადამიანი პიარის, ან პოპულიზმის რაიმე სხვა გამოვლინების მიზნით აკეთებდეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს, საზოგადოებრივი იერარქიის დაბალი საფეხურებიდან გამოსული და, რაც ყველაზე გასაოცარია, პრაქტიკულად პირველი თაობის ამერიკელი, რომელიც ამერიკის ისტორიაში ასევე პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახლავთ, მართლაც რომ ხალხის უკეთეს მომავალზე ფიქრობს და სრულიად უშიშრად უპირისპირდება ამა ქვეყნის ძლიერთ. ეს, შეიძლება ითქვას, პირველი შემთხვევაა, როცა პრეზიდენტი **დიდ ფულს** ასე უაპელაციოდ დაუპირისპირდა. მისი ასეთი თამამი და გაბედული ნაბიჯები, ჩემის აზრით, სამაგალითო იქნება არა მარტო თითოეული ჩვენთაგანისთვის, არამედ, მომავალი თაობებისთვის.

შემდეგი რეფორმატორული ნაბიჯი, რაც ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა გადადგა, **გახლავთ ის საგადასახადო შეღავათები, რომელიც პრაქტიკულად ამერიკული ოჯახების თითქმის 95 პროცენტს შეეხო. ესეც უპრეცენდენტო ნაბიჯია, რომელიც, მართალია კრიზისის დაძლევის ღონისძიებებს და, ამდენად, იძულებით გამოწვეულ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნება, თუმცა მაინც ხაზგასასმელია, რომ ის 5 პროცენტი, რომელთაც იგი არ შეხებია, გაზულუქებული ადამიანების კლასია, განეკუთვნება, რომელთაც პრაქტიკულად დაუპირისპირდა პრეზიდენტი. (ესეც გარკვეულ ღირსებას მატებს მის გაბედულებას).**

პრეზიდენტმა განსაკუთრებული ხაზი გაუსვა განათლების მნიშვნელობას ქვეყნის განვითარების შემდგომი სრულყოფის გზაზე. სწორედ ამიტომ, კონგრესში განიხილება პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი სწავლების გადასახდელის უფრო შეღავათიანი დაკრედიტების შესახებ, რაც, უნდა ითქვას, რომ ამერიკელ ოჯახებს ძალზე დიდ ტვირთად აწევს. აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ თავის გამოსვლაში, განათლებასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა – სიღარიბესთან ბრძოლის საუკეთესო გზა – განათლებაა. ეს სიტყვები ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას ეპიგრაფად დაამშვენებდა. სწორედ ამიტომ, ჩვენც უნდა ვეცადოთ ქვეყნისთვის ასეთი რეფორმები განვახორციელოთ. ეს უბრალოდ აუცილებელია, რადგანაც:

– ჩვენი საბანკო სისტემა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ის საპროცენტო განაკვეთებიც კი, რომელიც კრიზისამდე იყო, სავახშო პროცენტის კლასიკური გამოვლინებაა, ვიდრე, ცივილიზებული ქვეყნის საბანკო პროცენტი;

– ენერგო მატარებლებზე დღევანდელი ფასები მონოპოლიურ ფასებსაც კი აღემატება, (ეს განსაკუთრებით ბენზინის ფასებზე ითქმის!).

– ასეთივე მდგომარეობაა ელექტრო ენერგიის, გაზითა და წყლით მომარაგების სფეროში.

– სრული მონოპოლიზაციაა ფარმაციისა და კავშირგაბმულობის პრაქტიკულად ყველა სფეროში – ინტერნეტიდან დაწყებული და მობილური კავშირგაბმულობით დამთავრებული.

სიტუაცია იმდენად არანორმალურია, რომ ხელისუფლება, ალბათ დასავლეთიდან ზეწოლის შედეგად, ალაპარაკდა ანტიმონოპოლიური სამსახურის რეანიმაციის საკითხზე.

და ბოლოს: **განათლების სფეროში ჩატარებულმა ე.წ. „რეფორმებმა“ ისეთი შედეგები მოგვიტანა, რასაც მტერიც კი არ გვისურვებდა ახალგაზრდებმა დაკარგეს ინტერესი სწავლისადმი.**

ღრმად მწამს, რომ ამერიკის 44-ე პრეზიდენტის სიტყვები განათლების შესახებ, რომელიც ამ წერილს ეპიგრაფად წარუმძღვარეთ, რეალიზებული იქნება არა მარტო ამერიკელებისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებისთვისაც.

